ჩვენი საქართველო 6

მოსწავლის წიგნი

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა

ლექსი
დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.

დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!

ჩვენი საქართველო

VI კლასი

მოსწავლის წიგნი

ჩვენი საქართველო

VI კლასი

მოსწავლის წიგნი

2018 წელი

სარჩევი

გურია

1. მდებარეობა და ბუნება 6
2. დასახლება და მოსახლეობა 8
3. მეურნეობა 10
4. გარემოს დაცვა 12
5. კულტურის ძეგლები 14
6. ქართული ხალხური თამაშები 16
7. ტრადიცია და თანამედროვეობა 18
8. შემაჯამებელი გაკვეთილი 20

სამცხე-ჯავახეთი

9. მდებარეობა და ბუნება 22
10. დასახლება და მოსახლეობა 24
11. მეურნეობა 26
12. გარემოს დაცვა 28
13. კულტურის ძეგლები 30
14. საზღვარსიქითა მესხეთი 32
15. ტრადიცია და თანამედროვეობა 34
16-17. შემაჯამებელი გაკვეთილი 36

კახეთი

18. მდებარეობა და ბუნება 38
19. დასახლება და მოსახლეობა 40
20. საინგილო 42
21. მეურნეობა 44
22. ვაზი 46
23. გარემოს დაცვა 48
24. კულტურის ძეგლები 50
25. ტრადიცია და თანამედროვეობა 52
26. შემაჯამებელი გაკვეთილი 54

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი

27. მდებარეობა და ბუნება 56
28. დასახლება და მოსახლეობა 58
29. მეურნეობა 60
30. გარემოს დაცვა 62
31. კულტურა 64
32. ხატობა 66
33. ტრადიცია 68
34-35. შემაჯამებელი გაკვეთილი 70

რაჭა-ლეჩხუმი

36. მდებარეობა და ბუნება 72
37. დასახლება და მოსახლეობა 74
38. მეურნეობა 76
39. ნადირობა 78
40. გარემოს დაცვა 80
41. კულტურის ძეგლები 82
42. ტრადიცია და თანამედროვეობა 84
43-44. შემაჯამებელი გაკვეთილი 86

აფხაზეთი

45. ბუნება ... 88
46. დასახლება და მოსახლეობა ... 90
47. ხიდს გაღმა ... 92
48. მეურნეობა ... 94
49. გარემოს დაცვა ... 96
50. კულტურის ძეგლები ... 98
51. ტრადიცია და თანამედროვეობა ... 100
52-53. შემაჯამებელი გაკვეთილი ... 102

თბილისი – საქართველოს დედაქალაქი

54. ლეგენდა და სინამდვილე ... 104
55. ბუნება ... 106
56. დასახლება და მოსახლეობა ... 108
57. მრავალეროვანი ქალაქი ... 110
58. თბილისური ეზოები და სახლები ... 112
59. თბილისური ამქარი ... 114
60. მრეწველობა ... 116
61. გარემოს დაცვა ... 118
62. თბილისური აბანოები ... 120
63. კულტურა ... 122
64. თბილისური დღესასწაულები ... 124
65-66. შემაჯამებელი გაკვეთილი ... 126

სახელმწიფო – ჩვენი საქართველო

67. ფარნავაზი ... 128
68. მწიგნობრობა ქართული ... 130
69. სახელმწიფო საზღვარი ... 132
70. დედაქალაქი ... 134
71. სახელმწიფოს სიმბოლოები ... 136
72. საქართველოს კონსტიტუცია ... 138
73. არჩევნები და ჩემი უფლებები ... 140
74. მოქალაქე და მოქალაქეობა ... 142
75. ემიგრანტები ... 144
76-77. შემაჯამებელი გაკვეთილი ... 146
78-80. პროექტი: სასკოლო მუზეუმი ... 148

გაკვეთილის სტრუქტურა



36 მდებარეობა და გუნება

რაჭა-ლეჩხუმი

საქართველოს რუკაზე მოიძებნე რაჭა-ლეჩხუმი და დააფიქრეთ:

- საქართველოს რომელ ნაწილში მდებარეობს იგი?
- რომელი ქედები და მდინარეები საზღვრავს მას სხვა მხარეებისაგან?
- რომელია რაჭა-ლეჩხუმის მოსაზღვრე მხარეები?
- რომელი ქვეყანა ესაზღვრება?

დაინეთ ცხრილის **„ეიღი – მინდა ვიცოდე – გავიგე"** შეკვნა.

რაჭა-ლეჩხუმი მთაგორიანი მხარეა. მის ჩრდილოეთ საზღვარზე აღმართულია კავკასიონის ცენტრალური ნაწილი. იგი რაჭის კავკასიონის სახელითაა ცნობილი. მყინვარები და კლდეები ისტორიულად ფარავთ იცავდა საქართველოს ამ მხარეს ჩრდილოეთიდან მომავალი მტრისაგან. შედარებით ოღი გასასვლელია **მამისონის უღელტეხილი**. რაჭის მოსახლეობა ოდითგანვე სნორედ ამ გადასასვლელით უკავშირდებოდა ჩრდილოეთ კავკასიას და დვალეთს – საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ მხარეს.

რაჭის მთებში მრავალი მღვიმეა. ზოგიერთ მღვიმეში ადამიანი უძველესი დროიდან იყო დასახლებული. კუდაარის მღვიმეში საქართველოში ადამიანის ერთ-ერთი უძველესი სადგომია მიკვლეული. აქვეა ნამოენი მღვიმური დათვის, მარტორქის, ლეოპარდი, მამუთის ძვლები.

რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე მეტად არათანაბრადაა განანილებული აგმოსფერული ნალექები. ყველაზე ნალექიანია მოდა-კედელას ქედი და რაჭის კავკასიონის მაღალი ადგილები. განსაკუთრებით უხვია ნალექები იმ ფერდობებზე, სადაც შავი ზღვიდან მონაბერი ჰაერის მასები აღწევს. ზამთარში თოვლი დიდხანს დგება, განსაკუთრებით მაღალ ადგილებში. თოვლის სიმაღლე 1 მ-საც კი აღემატება ხოლმე. ეს ძალიერ აფერხებს მიმოსვლას.

წყარო 1. რაჭის კავკასიონი ყველაზე მაღალია მთელ რაჭა-ლეჩხუმში. ქედის დასავლეთი ნაწილი ნაცრარაღის ქედის სახელითაა ცნობილი. მაღალი მწვერვალები მარადი თოვლითა და ყინულებითაა მეჭილილი, უფრო დაბალ ადლარი მდელოებია, ხოლო კალთებზე ნიწიოვანი და ფოთლოვანი ტყეებია. დაბალ ადგილებში ტყეები განადგურებული და სახეცვლილია. უფრო მაღალ ადგილებში ტყეებია.

წყარო 2. მდ. რიონი სათავეს იღებს ფასის მთაში, ზემო დინებაში იგი ვიწრო და ღრმა ხეობაში მიედინება. ასეთი ადგილები ნაკლებად არის ათვისებული ადამიანის მიერ. გაცილებით დაბალია მდინარეების – რიონისა და ცხენისწყლის ხეობები, სადაც ზოგან ფართო ვაკეებია. სნორედ ასეთი ადგილებია ყველაზე მეტად დასახლებული და ათვისებული.

- რომელი მდინარეების ზემო დინების აუზებში მდებარეობს რაჭა და ლეჩხუმი?
- შეადარეთ ერთმანეთს მდ. რიონის ხეობა რაჭა-ლეჩხუმის, იმერთისა და სამეგრელოს ტერიტორიებზე. იმოკვლეთ განსხვავება.
- დასახელეთ მთა, სადაც სათავეს იღებს რიონი. ამაზე სახელით კიდევ რა არის თქვენთვის ცნობილი საქართველოს სხვა მხარეში? თქვენი აზრით, რაგომ ჰქვია მათ ერთი და იგივე სახელები?

წყარო 3. მაორის წყალსაცავი შეკმნილია მაორის ქვაბულში, მდ. მაორის დაგებებით. ტბა ხარისთვალა მაორის წყალსაცავის ადგილას მდებარეობდა. მანამ აქ ადგებდნენ ეკიპაჟს. აქ მეორე ტბაც იყო – ძრობისთვალა. დღეს ორივე ეს ტბა და მიმდებარე ტერიტორიები, დასახლებებითა და სასოფლო-სამეურნეო საკარგულებით, წყალსაცავის წყალს დაფარა.

წყარო 4. მდ. ცხენისწყალი ლეზუმში

წყარო 5. გაზეთი „ავერია", 1886 წელი **უნერაში** მეოძლება ასეთი ფიეტონით, თუმცა დიდი სიფრთხილით. ფიეტონითვე ადამ სოფ. გელოლამდეც. აქედან კი მეოძლება სიარული მხოლოდ ურმითა და ცხენით. შედეხარი ამანოშიც პატარა ოთახი, ბნელი, იატაკი დანგრეული, კედლები ფარალალა. მარცხნივ დგას დანგრეული ტახტი, მარჯვნივ უნეიროდ გაფილი პატარა გეგჯა. რკინის ნყალი აქვე ობეება გარეთ ქვაბებში. აქედან ამანოში ცხენი და ცოცი ნყალი ხის ღარებით მიდის. მეავე ნყალი გამოდის რიონს გაღლა კლდეში, აქვე ამბობენ, რომ ნყალი ამდა მეტი გამოდის, ვიდრე ნინა ნლებში, მაგრამ ამისათა ადარ არის, როგორც იყოფო. ამის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ მოგროვების დროს უცოდინარ კლეტებს მეავეში უბრალო ნყლებიც შეურევიათ.

წყარო 7. მხარის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2014-2021 ნლებისთვის.
კერორტზე მოვში, უნერაში, მუამში და სხვაგან ასამდე სამკურნალო მეავე ნყალი მოიპო

მდებარეობა და ბუნება

რუკის მიხედვით დაადგინეთ გურიის მდებარეობა და საზღვრები:

- საქართველოს რომელ ნაწილში მდებარეობს იგი?
- რომელი ქედები და მდინარე საზღვრავს მას?
- რომელია გურიის მოსაზღვრე მხარეები?

დაიწყეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

გურია მოიცავს: ზღვისპირა ვაკეს, გორაკ-ბორცვებსა და მთებს. ზღვიდან აღმოსავლეთის მიმართულებით მისი ტერიტორია თანდათან მაღლდება და ბოლოს, მთებით სრულდება.

გურიაში დაბალ ადგილებში ზამთარი თბილია, ხოლო ზაფხული – ცხელი და წვიმიანი. მთებში ჰავა უფრო გრილია, ზამთარი კი – თოვლიანი და მკაცრი. თოვლის სიმაღლე ზოგჯერ 1 მეტრი და მეტია.

ზღვისპირა ვაკე ვიწრო და მჭიდროდ დასახლებულია. თუმცა ზოგი ადგილი დაჭაობებული და დაუსახლებელია. მთის კალთები ტყითაა შემოსილი. მაღალ ადგილებში მდელოებია, რომელთაც საძოვრებად იყენებენ. გურიის მთავარი მდინარეები – **სუფსა** და **ნატანები** უხვწყლიანია, მათი ჭალები კი მეტად ნაყოფიერი.

წყარო 1. სუფსა-ნატანებს შორის მოქცეულ სანაპიროზე ქვიშებს სამკურნალო დანიშნულება აქვს. განსაკუთრებით გამორჩეულია **ურეკისა** და **გრიგოლეთის** პლაჟები. აქაური ქვიშა მეტად სასარგებლოა ძვლებისა და სახსრებისთვის, გულისა და სუნთქვის ორგანოებისთვის. ზღვის სიღრმე დიდ მანძილზე მცირეა. ეს მოსახერხებელია ბავშვების ბანაობისთვის.

წყარო 2-3. ბახმარო, 1920 წელს და დღეს. გადმოცემის თანახმად, ბახმაროს ჰაერის სამკურნალო თვისებებიც პირველად მწყემსებს შეუმჩნევიათ. ერთი მწყემსი ჭლექით ყოფილა დაავადებული და აქაურ ჰაერს იგი სწრაფად განუკურნებია. ძველად მას მხოლოდ რამდენიმე ხის სახლი მდგარა. დღეს ბახმაროს უამრავი დამსვენებელი ჰყავს. ამასთან, იგი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე კურორტია. ზაფხული ზომიერად გრილია, ზამ-

თარი კი — ზომიერად ცივი. მიმდებარე ტერიტორია ნაძვისა და ფიჭვის ტყითაა შემოსილი. იგრძნობა ზღვიდან მონაბერი ნოტიო ჰაერის გავლენაც. ამიტომ ჰაერი აქ სუფთა და გამჭვირვალეა, რომელსაც აქვს სამკურნალო თვისებები. ბახმაროს მახლობლად მდებარეობს კურორტი ნაბეღლავი, რომელიც ნობილია სამკურნალო მნიშვნელობის მინერალური წყლით. იგი აღმოაჩინეს 1905 წელს. გადმოცემის მიხედვით, ადგილობრივებს შეუნიშნავთ, როგორ ეტანებოდნენ ამ წყალს ხარები. ამჟამად აქ ხდება მინერალური წყლის „ნაბეღლავისა“ და და წყაროს წლის „ბახმაროს“ ჩამოსხმა.

- რომელი ქედის კალთაზე მდებარეობს ბახმარო და ნაბეღლავი?
- თქვენი აზრით, რა წვლილი შეაქვს ამ წყლების ჩამოსხმას საქართველოს განვითარებაში (შემოსავალი, დასაქმება და სხვა)?
- საქართველოს მთის კიდევ რომელი კურორტია თქვენთვის ცნობილი? შეეცადეთ შეადაროთ იგი ბახმაროს. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ იგი.

იმუშავეთ წყვილებში. მოაწყვეთ ნამუშევრის პრეზენტაცია.

კურორტის დასახელება	საქართველოს მხარე	მდებარეობა	სამკურნალო თვისებები

წყარო 4. თედო სახოკია

გურიაში ჰაერი მეტად ნოტიოდ გვეჩვენა. გვითხრეს კიდეც, ციება (მალარია) ხშირია აქეთ-კენო. სადგურ ნატანებიდან მოყოლებული მდ. ნატანების ჭალები, თავისი ჭაობებით. ბუნება განსაკუთრებით მდიდარი და უხვია, ნიადაგი ნაყოფიერი. მხოლოდ ეგ არის, რომ ადამიანს ბევრი ღონისა და ენერგიის დახარჯვა სჭირდება აქაურ ციებ-ცხელებასთან ბრძოლაში.

- რუკაზე მოძებნეთ ჭაობები გურიაში. განსაზღვრეთ გურიის რომელ ნაწილში მდებარეობს იგი.
- ბუნებრივი პირობების მიხედვით, რა განსხვავება გურიის ზღვისპირა ვაკესა და მთებს შორის?
- ციებ-ცხელება იგივე მალარიაა. საქართველოს კიდევ რომელ მხარეში გსმენიათ მის შესახებ? გაიხსენეთ, როგორ ებრძვიან მას?

წყარო 5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904 წელი

სოფელ ზედუბანი გაშენებულია მიუდგომელ ხრიოკებზე. ამიტომ აქაური გზები მინგრეულ-მონგრეულია, ცუდია ზაფხულობით და თითქმის გაუვალი ზამთრობით. მაგრამ რამდენადაც ძნელი და აუტანელია აქ ყოფნა ზამთარში, იმდენად სასიმოვნოა ზაფხულში. სოფელი მაღლობზეა გაშენებული, ჰაერი შედარებით სუფთა და ჯანისთვის მარგებელია. გასახედიც კარგია: თვალწინ იშლება მთელი გურია – **აჭარა-გურიის მთებიდან** ფოთამდის.

- რატომ არის სეზონური განსხვავება სოფელ ზედუბანში?
- როგორ ფიქრობთ, ასეთი რთული იქნებოდა მიმოსვლა გურიის სხვა სოფლებშიც? დახედეთ რუკას და დაასახელეთ, კიდევ რომელი სოფლები იქნება სავარაუდოდ ამავე მდგომარეობაში. შეეცადეთ, შეეხმიანოთ თქვენს თანატოლებს ამ სოფლებიდან და გაარკვიოთ დღევანდელი ვითარება.

წყარო 6. გაზეთი „ალიონი“, 2012 წელი

ამ რამდენიმე დღის წინ, მდინარე ჩოლოქის შესართავთან, ზღვის სიღრმეში მეთევზეებმა შემთხვევით ძველი ხომალდი აღმოაჩინეს. რომაული ხომალდი დაახლოებით ახ.წ. II საუკუნით თარიღდება. მასზე საყურადღებო ნივთებიც აღმოაჩინეს.

- იმსჯელეთ, რაზე მეტყველებს ეს აღმოჩენა?
- დროის ხაზზე მოძებნეთ ახ. წ. II საუკუნე. დაადგინეთ, რამდენი საუკუნე გავიდა მას შემდეგ.
- გაიხსენეთ, მითი არგონავტების შესახებ და განსაზღვრეთ ჩოლოქთან მიკვლეული ხომალდი უფრო ძველია თუ არგონავტების?

გააგრძელეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

მინერალური წყალი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებსაც სამკურნალო თვისებები აქვს.

დასახლება და მოსახლეობა

- ჩამოთვალეთ გურიის ქალაქები და სათანადო პირობითი ნიშნების გამოყენებით დაიტანეთ იგი კონტურილ რუკაზე.
- როგორ ფიქრობთ, სად უფრო ხელსაყრელია დასახლებისთვის გურიის ტერიტორია?

გურიის თითქმის მთელი მოსახლეობა ცხოვრობს ბარში – დაბლობსა და გორაკ-ბორცვებზე. მთაში მხოლოდ რამდენიმე სოფელია. გურიაში ორი ქალაქია – ოზურგეთი და ლანჩხუთი, დაბა კი რამდენიმეა. სოფლებში ქვისა და აგურის სახლებთან ერთად ჯერ კიდევ ჭარბადაა ხის სახლები, დაბა-ქალაქებში კი იშვიათობაა. წარსულში გურიაში ქვისაგან მხოლოდ ციხეებსა და ტაძრებს აშენებდნენ. მოსახლეობა მთლიანად ხის სახლებში ცხოვრობდა.

XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლებამ გურიაში სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ რუს ჯარისკაცებს იქვე დარჩენის ნება დართო და გამოუყო მიწის ნაკვეთები. მათი შთამომავლები აქ დღესაც ცხოვრობენ.

გურიაში მცხოვრებ ქართველებს გურულებს ეძახიან და ისინი შინაურობაში ქართული ენის გურულ დიალექტზე მეტყველებენ.

წყარო 1. გურული გლეხის კარ-მიდამო და სახლი ძველად

წყარო 2. სახლი აგარაკზე გურიაში

წყარო 3. თანამედროვე სოფელი გურიაში

- წყაროებში მოცემული სახლის ტიპები შეადარეთ ერთმანეთს. რა მსგავსება-განსხვავებებია მათ შორის?
- საქართველოს რომელი მხარის სახლებს ჰგავს ისინი? ახსენით მიზეზები.

წყარო 4. შინამრეწველობის მასალები, 1935 წელი

უწინდელ დროში საცხოვრებელი ბინა იყო ფაცხა, შემდეგ ჯარგვალი. ამის შემდეგ იწყეს ჩვენში **დოლი სახლის** შენება, უჭერო და უიატაკო, ისლით ან ჩალით დახურული. შემდეგ ოდა სახლები შემოვიდა. თუ ოდა პალატიანი არ იყო, საძირკველი გაიმართებოდა ბოძებზე. ბოძები სქელი ხის ან გათლილი ქვისაა. პალატიან სახლს აშენებდნენ ამგვარად: სახლის ქვედა ნაწილს ბოძების მაგიერ ამოაშენებდნენ ქვითკირით ან ფიცრებით. შემდეგ ზემოდ დაადგამდენ ოდა სახლს. პალატს იყენებდნენ სამზარეულოდ, საშინაოდ და საოჯახო ჭურჭლის შესანახად. ზოგ ალაგას პალატს ხმარობდნენ სასადილო ოთახად, ზოგჯერ კი – ბოსელის მაგიერადაც.

- შეადარეთ ერთმანეთს გურული დოლი სახლი და იმერული საჯალაბო სახლი. რა მსგავსებას ხედავთ? ხომ არ არის ისინი ერთი და იგივე ტიპის ნაგებობა, ოღონდ სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელით მოხსენიებული? წყარო 1-ში გამოსახული სახლი დოლი სახლი იქნება თუ პალატიანი ოდა?
- საქართველოს კიდევ რომელ მხარეში გვხვდება პალატიანი სახლი?

წყარო 5. თედო სახოკია

ყველა სახლს სამზარეულო უეჭველად ცალკე უნდა ჰქონდეს, მთავარ სახლიდან მოშორებით. დღე-ღამის უმეტესი ნაწილს აქაური გლეხის სახლობა ამ სამზარეულოში ან როგორც აქ ეძახიან **„სამზადში“** ატარებს. იქა ხარშავს საჭმელს, იქვე შლის სუფრას, იქვე აქვს თათბირი ოჯახის განკარგვის შესახებ. მთავარ სახლში, ან ოდაში, მარტო დასაძინებლად და სტუმრის მისაღებად მიდიან. როგორც სამეგრელო-იმერეთში, ცეცხლი აქაც შუა ალაგას უნთიათ, კერაზე. იმის თავზე დაკიდულია საკიდელა, რომელზედაც თუჯის ქვაბსა ჰკიდებენ ხოლმე ღომის მოსახარშად; აქვე იპოვება კეცი, მჭადის გამოსაცხობად და რამდენიმე სხვადასხვა სიდიდის ქოთნები ლობიოს ან სხვა რამის მოსახარშავად. საჯდომად **„ჯორკოს“** – ტლანქად გათლილ ჯირკვებს ხმარობენ. სუფრა იგივეა, რაც სამეგრელო-აფხაზეთში – გრძლად გათლილი ფიცარი, ოთხ ფეხზე დაყენებული, რომელსაც წინ ისე დგამენ, რომ ზედ არაფერს აფარებენ.

- შეადარეთ ერთმანეთს დოლი სახლი და სამზადი სახლი. როგორ ფიქრობთ, ერთი და იგივე ხომ არ არის ისინი? დაასაბუთეთ.

წყარო 6. თედო სახოკია.

სინესტის შიშით ქვითკირის სახლებს აქ იშვიათად აშენებენ. აქაური სახლი ფიცრისაა. იშვიათად შეხვდებით აგრეთვე ორსართულიან სახლებს, – თითქმის ყველას ერთსართულიანი ოდები უდგათ, გადახურული კრამიტით, რომელსაც გურიაშივე, სოფ. აკეთში აკეთებენ. აქაური სახლს საძირკველი ადლნახევარის სიმაღლეზდა დგას, დედამიწიდან აშორებული. ამგვარად, ნიადაგს აშორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ენახება.

- გაიხსენეთ, როგორ სახლებს აშენებდნენ ძველად სამეგრელოში. რატომ აკეთებენ ოდას ბოძებზე დაყრდნობით?
- ადლის სიგრძის საზომი ერთეულია და უდრის დაახლოებით 101 სმ-ს. განსაზღვრეთ, რა სიმაღლის იყო სახლის საძირკველი ძველად.

წყარო 7. გაზეთი ივერია, 1903 წელი

წელს, ნათლიღებას მღვდელმა აკურთხა ჩოლოქის წყალი. ეს წყალი იყო საზღვარი ოსმალეთსა და რუსეთს შორის ამ ბოლო ომამდე. მანამდე აქ ორივე მხარეს ცხოვრობდნენ ქართველ ქრისტიანები. მაგრამ როცა ეს წყალი საზღვრად განისაზღვრა, გაღმა ნაპირზე მცხოვრებლები გაამაჰმადიანეს და ასე დააშორეს ერთმანეთს ისინი. ახლა კი, როცა საზღვარი კვლავ სამხრეთით გადაიწია, ისევ განახლდა მანამდელი ძმობა და ერთობა, გარდა რჯულისა. ისევ დაიწყეს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და მეზობლობა. ყველაზე მეტად დამაკავშირებელი ამ ძმობისა არის პატარა სამრევლო სკოლა, რომელიც აქ გაიხსნა ორი წლის წინ, სადაც სწავლა დაიწყეს ქართველმა მაჰდიანმა ყმაწვილებმაც. ამ სკოლაში ჩამოდიან ზრდასრულებიც და დიდი ცნობისმოყვარეობით ისმენენ მასწავლებლის საუბარს. წყლის კურთხევას დაესწრო ოცდაათამდე მაჰმადიანიც. აქ ითქვა, რომ უნდა აღდგეს ის ძველი ძმობა-მეგობრობა წყლის გაღმა-გამოღმა, რომელიც ძველად არსებობდა. ყველა დიდი ნასიამოვნები დარჩნენ ამ სიტყვის მოსმენით.

დაიყავით ჯგუფებად და უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით, საზღვრის გატარებით რატომ შეიცვალა ვითარება, როგორც ამაზე წერს ავტორი?
- გაიხსენეთ, საქართველოს კიდევ რომელ მხარეში ცხოვრობენ სხვა რელიგიის წარმომადგენლები.
- გაიხსენეთ, საქართველოს რომელი კანონი განსაზღვრავს ყველა ადამიანის თანასწორობას განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა?

გააგრძელეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

დავალება

- მოიფიქრეთ რაიმე ღონისძიება, რომელიც მიეძღვნება სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების ძმობასა და მეგობრობას. იმსჯელეთ იმ მნიშვნელობაზე, რომელიც შეიძლება შეასრულოს ხალხთა შორის ძმურმა დამოკიდებულებამ და ერთად დგომას ქვეყნის განვითარებაში.

- ივარაუდეთ, რომელი აგროკულტურის მოსაყვანად იქნება შესაფერისი გურიის ჰავა?

გურიაში უმეტესად მცირე ზომის ნაკვეთებია, რომლებიც მთის კალთებზეა შეფენილი. ეს ართულებს მანქანა-ტრაქტორების გამოყენებას. თუმცა ამავდროულად იგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ციტრუსებისა და ჩაის კულტურებისთვის. ეს იმიტომ, რომ გორაკ-ბორცვების, განსაკუთრებით კი ზღვისკენ მიქცეული ფერდობების კლიმატი ნოტიო და თბილია. ამას ხელს უწყობს მაღალნაყოფიერი წითელმიწების არსებობაც. დაბლობზე კი, სადაც უფრო სწორი ზედაპირებია, ზოგან დაჭაობებულიც, ვერ იღებს მათთვის საკმარის სითბოს.

ახლო წარსულში გურიაში ჩაიც და ციტრუსიც საკმაოდ ბევრი მოჰყავდათ. აქ მოყვანილი ნაყოფით მარაგდებოდა არა მარტო მთელი საქართველო, არამედ იგი იგზავნებოდა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. დღეს ისინი ნაწილობრივ ჩაანაცვლა თხილმა და მოცვმა, რომლებიც აგრეთვე უცხოეთში გააქვთ. გურიაში ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა სიმინდი, რომლის ყანებიც ფერდობებზეცაა შეფენილი. გურიაში მისდევდნენ მეფუტკრეობასა და მეაბრეშუმეობას. დღეს ეს დარგები შედარებით ნაკლებადაა დაწინაურებული. ეს განსაკუთრებით ითქმის მეაბრეშუმეობაზე.

- რამდენად გამართლდა თქვენი ვარაუდი გურიაში მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებასთან დაკავშირებით?
- გაიხსენეთ, თხილი საქართველოს კიდევ რომელ მხარეშია მნიშვნელოვანი აგროკულტურა. რა მდგომარეობაშია დღეს ის?

წყარო 1. ჩაის გურიაში უმთავრესად კრეფდნენ ქალები. ეს საკმაოდ მძიმე სამუშაო იყო. მათ უწევდათ მუშაობა თაკარა მზეში, ქარში. მეჩაიეები კრეფდნენ ჩაის ნორჩ ყლორტებს, რისგანაც მაღალი ხარისხის არომატული ჩაის ნაყენი მზადდებოდა.

წყარო 2. ჩაის მწკრივებს ამუშავებენ ტრაქტორით. ამას გარდა მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა დამზადდა საქართველოში. ამან ძლიერ შეამსუბუქა ქალის მძიმე შრომა. მანქანა ჩაის კრეჭდა სწორ და მცირედ დახრილ ზედაპირზეც. თუმცა 1990-იანი წლებიდან გურიაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ჩაის წარმოება მკვეთრად შემცირდა. ამჟამად გურიაში ჩაის გადამამუშავებელი მხოლოდ რამდენიმე საწარმო მუშაობს.

წყარო 3. დასავლეთ საქართველოში ქვევრს **ჭურს** ეძახიან. მას მიწაში ფლავდნენ ღია ცის ქვეშ ან მარანში. ჭურიდან ღვინოს **ორშიმოთი** – მწარე კვახისაგან დამზადებული ჭურჭლით იღებდნენ. გურიაში მას ეძახდნენ კოპეს ან ხრიკას. იქ, სადაც მეთუნეობა იყო გავრცელებული, ორშიმოს თიხისაგანაც ამზადებდნენ.

- რატომ არის ქვევრები ჩადგმული მიწაში?
- როგორ ფიქრობთ, რატომ ამზადებდნენ ორშიმოს მწარე კვახისაგან?

წყარო 4. შინამრეწველობის მასალები, 1935 წელი
ჩვენში ვენახს მაღალ ხეებზე აშენებენ. მკრეფელი გადის ხეზე, თან მიაქვს **გიდელი** ბაწრით, ჰკრეფს ყურძენს და გიდელში აწყობს, როცა გიდელს გაავსებს, გადმოძახებს: „ა, გიდელი“. ძირს მყოფი გიდელის მცლელი გიდელს ჩასცლის გოდორში და ხელახლა ჩამოუკიდებს ღვაღვით ბაწარზე და შესძახებს: „მშვიდობით ჩამოდიო“, მკრეფელი მხოლოდ მაშინ ასწევს გიდელს.

წყარო 5. თედო სახოკია
კარგი ღომი იცის მაღლობ ადგილზე. წვრილი და ნაზი ფოთლები აქვს. მისი ჩალა საუკეთესო საკვებია საქონლისთვის. გურიაში ადრე დიდძალი ღომი მოდიოდა, სანამ სიმინდი გავრცელდებოდა. უფრო იმიტომ შემცირდა ღომი, რომ მუშაობა და ჯაფა მეტი უნდა, ვიდრე სიმინდს, თუმცა ფასი კარგი აქვს. აქაურები მეფუტკრეობას ძალიან მისდევენ, მთის სიახლოვეც ძალიან ხელს უწყობს. სანთლისაგან ხდიან საუკეთესო სუნისა და სიმაგრის არაყს. თაფლს რომ გასწურავენ, ფიჭას აადუღებენ. სანთელს გარდა რაც დარჩება, ჩაჰყრიან ქვაბში დასამჟავებლად. მერე დამჟავებულ ნივთიერებისაგან ჭაჭასავით ჰხდიან. იგი გემრიელია, სურნელოვანი და მაგარი.

- გაიხსენეთ, საქართველოს კიდევ რომელ მხარეში იყო გავრცელებული ღომის კულტურა.

მასწავლებლის დახმარებით დაასახელეთ ის პროდუქტები, რომლებსაც იღებენ თაფლისაგან და განსაზღვრეთ მათი გამოყენების სფეროები. გადახაზეთ ცხრილი რვეულში და შეავსეთ.

პროდუქტები	რისთვის იყენებენ?

წყარო 6. თედო სახოკია
დიდი ხანი არ არის, რაც გურულებს ვაჭრობისათვის ხელი მოუკიდნიათ. მთელი ვაჭრობა ხელში ჰქონიათ ლაზებს. მაშინ გურულებს სირცხვილად მიაჩნდათ ვაჭრობა. არც გული მიუწევდათ, იმიტომ რომ კანონი არ არსებობდა მშვიდობიანი ცხოვრების მფარველი. ხოლო როცა მშვიდობიანობა ჩამოვარდა, რაკი პატივი დაედო პიროვნებას, გურულმა სწრაფად შეითვისა საიდუმლოება ვაჭრობისა. ნაგომარობა ერთ საუკეთესო ბაზრობად უნდა ჩაითვალოს მთელ გურიაში. ჯერ ერთი, ვაჭრობისათვის ჩინებული დროა შერჩეული – მკათათვე (ივლისი), როცა გურული გლეხი თითქმის მოცლილია. ამ დროს სიმინდი გამარგლული აქვს და შეუძლია ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს თავისი ნაწარმით. აბრეშუმის პარკიც მოწეულია და სოფლელ ქალს გასაყიდად მზად აქვს როგორც აბრეშუმის ძაფი, ისე ნაქსოვიც. ნაგომარობას ხალხი დიდძალი იკრიბება. ვაჭრები უფრო სოფელ საჯავახოს მცხოვრები ებრაელები არიან. ფართლეული და საწვრილმანო ორპირად ჩამწკრივებულს, წკნელისაგან მოწნულს კარვებში აქვთ მოთავსებული.

- შეეცადეთ ახსნათ, რა ცვლილებები მოხდებოდა გურიაში, როცა ადგილობრივებმა შეითვისეს ვაჭრობა?
- რუკაზე მოძებნეთ სოფელი ნაგომარი და განსაზღვრეთ მისი მდებარეობა. თქვენი აზრით, რამ განაპირობა აქ ერთ-ერთი საუკეთესო ბაზრობის წარმოქმნა?
- ივარაუდეთ, რა პროდუქტს გაიტანდნენ ადგილობრივები ნაგომარის ბაზრობაზე?
- წყაროს მიხედვით, რომელია ვაჭრობის განვითარების აუცილებელი პირობა?

გააგრძელეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

მკათათვე ივლისის თვის ძველი ქართული სახელწოდებაა.

გარემოს დაცვა

- მოიფიქრეთ, რა საქმიანობით უქმნის ადამიანი საფრთხეს გარემოს გურიაში?

მართალია, გურია მცირე ფართობისაა, მაგრამ აქ ბუნების მრავალი შესანიშნავი ობიექტია. მას ბევრი ტურისტი სტუმრობს, რაც მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროცაა ადგილობრივებისთვის.

გურიის ბუნებას საკმაოდ ატყვია ადამიანის კვალი. ეს კვალი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ზღვისპირა ვაკესა და მის მიმდებარე გორაკ-ბორცვიან ზოლში. აქ ოდესღაც არსებული კოლხური ტყეები დღეს თითქმის მთლიანად განადგურებულია. ისინი მხოლოდ დაცულ ტერიტორიაზე და მიუვალ ადგილებშია შემორჩენილი. გორაკ-ბორცვიანი ზოლი თითქმის მთლიანადაა ათვისებული და აქ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აქ ბევრ ქიმიურ სასუქს იყენებდნენ. ამან ძლიერ დააბინძურა აქაური ნიადაგი. განსხვავებულია ვითარება მთებში, სადაც ბევრგან ხელუხლებელი ტყეებია შემორჩენილი. ამიტომ ზაფხულში ამ ადგილებს ბევრი მოაგარაკე სტუმრობს.

გურია, ისევე როგორც საქართველოს სხვადასხვა მხარე, მდიდარია სამკურნალო მცენარეებით. ეს ძველთაგანვე იყო ცნობილი ჩვენი წინაპრებისთვის. გადმოცემის მიხედვით, შორეულ წარსულში შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული ყოფილა ბაღი. აქ სხვადასხვა სამკურნალო მცენარეები მოჰყავდათ. სამკურნალო მცენარეების მოშენებას მონასტრების ირგვლივ გაშენებულ ბაღებშიც მისდევდნენ. ძველ წყაროებში შემორჩენილია ცნობები სამკურნალო მცენარეებისა და მკურნალობის შესახებ. ასე იქმნებოდა **კარაბადინი** – ძველ საქართველოში გავრცელებული სამკურნალო წიგნი. სამკურნალო მცენარეებით მრავალ დაავადებას ჰკურნავდნენ, განსაკუთრებით შედეგიანი იყო დამწვრობის, მოტეხილობისა და ჭრილობების მკურნალობა.

- მოიფიქრეთ და შეეცადეთ ჩამოთვალოთ ის საშიშროებები, რაც გურიის გარემოს ემუქრება.

წყარო 1. კოლხეთის ეროვნული პარკი პალიასტომის ტბის მიდამოებში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. იგი მოქცეულია როგორც გურიის, ისე სამეგრელოს ტერიტორიაზე. იგი შეიქმნა საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ეკოსისტემების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით. აქ შემორჩენილია კოლხეთის დაბლობისა და ჭაობებისთვის დამახასიათებელი ტყეები. აქ ხარობს მურყანი, წიფელი, რცხილა, ლაფანი და სხვა. ტყეში მრავლადაა მარადმწვანე ბუჩქნარები და სურო. გხვდება კოლხეთისთვის უჩვეულო მცენარეებიც, რომლებმაც ჭაობებში იპოვეს თავშესაფარი.

წყარო 2. ცხოველებიდან კოლხეთის პარკში გვხვდება შველი, გარეული ღორი, წავი და სხვა. კოლხეთის ეროვნულ პარკში მრავლადაა გადამფრენი ფრინველებიც. ბუდობის ადგილიდან თბილი ქვეყნებისაკენ და შემდგომ უკან გადაფრენისას ისინი სნორედ აქ, პალიასტომის ტბასა და მის მიდამოებში ისვენებენ. აქ მრავლად არიან: გარეული იხვები, ბატები, გედები, ტყის ქათმები, ძერები, შევარდნები, არწივები.

წყარო 3. ფითრი ხეჭეჭურზე, სოფელი ერკეთი
ხეჭეჭეური მსხლის ერთ-ერთი ჯიშია, რომელიც ფართოდაა გავრცელებული უმთავრესად დასავლეთ საქართველოში. მსხალსა და სხვა ხეხილს დიდ ზიანს აყენებს **ფითრი** – პარაზიტული მცენარე. როცა იგი მოხვდება მცენარის ტოტზე, გაიდგამს ფესვებს და სულ უფრო და უფრო ღრმად აღწვეს მასში. ართმევს მას წყალსა და საკვებ ნივთიერებებს.

წყარო 4. საქართველოს კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიის შესახებ, 1998 წელი

მუხლი 12. კოლხეთის ეროვნული პარკი რამდენიმე ზონად იყოფა: ბუნების მკაცრი დაცვის, **ვიზიტორთა**, ადმინისტრაციის და სხვა ზონები.

მუხლი 38. ბუნების მკაცრი დაცვის ზონაში აკრძალულია ნადირობა, თევზჭერა, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვება, აგრეთვე ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სხვაგვარი სარგებლობა.

დაიცავით წესები დაცულ ტერიტორიაზე:

- არ მოკლათ არც ერთი ცხოველი, თუნდაც ის იყოს პატარა მწერი ან ჭიაყელა.
- არ დაიჭიროთ ისინი და არ დაუგოთ მათ ხაფანგები.
- არ დაყაროთ ნარჩენები არც ხმელეთზე და არც წყალსატევებში.
- არ დაანთოთ კოცონი.

იმუშავეთ ჯგუფებში. შედეგები წარუდგინეთ კლასს.
■ კიდევ რაიმეს ხომ არ დაამატებდით?
■ იმსჯელეთ ყველა ამ რჩევის შესახებ. რა საფრთხეებს ქმნის აკრძალვების დარღვევა?
■ წყაროების (1, 2, 4) მიხედვით მოამზადეთ ნარკვევი ეროვნული პარკის დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ.

წყარო 5. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1904 წელი
სოფელ ერკეთში დიდი ხანია, რაც **ქუნთრუშა** მძვინვარებს და ბევრი ბავშვიც იმსხვერპლა. მას ყელის ძლიერი ტკივილი სდევს თან. ამიტომ მას კისერასაც ეძახიან. არიან ოჯახები, სადაც დიდსა და პატარას ყველას ჭირს ეს სენი. საჭიროა ზომების მიღება.

- იმსჯელეთ, რა ზომები შეიძლება მივიღოთ დაავადებისაგან თავდასაცავად?

გააგრძელეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

დავალება

■ მოიძიეთ ინფორმაცია თქვენს მშობლიურ მხარეში მდებარე ერთი დაცული ტერიტორიის შესახებ. თუ არ არსებობს, სად და რატომ შექმნიდით მას? შეუდარეთ იგი კოლხეთის ეროვნულ პარკს. მოამზადეთ პრეზენტაცია და წარადგინეთ იგი კლასში.

ეროვნული პარკი დაცული ტერიტორიაა, რომელიც შექმნილია ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ადგილების დაცვის მიზნით. იგი შედარებით დიდი ფართობისაა.
ვიზიტორი – სტუმარი, რომელსაც უფლება აქვს დაათვალიეროს პარკი.

კულტურის ძეგლები

- რუკის მიხედვით ჩამოთვალეთ გურიის კულტურის ძეგლები.

საქართველოში ყოველთვის ფასობდა და დიდ პატივში იყო სწავლა-განათლება და სხვა კულტურული საქმიანობა. ტაძრებში ოდითგანვე მიმდინარეობდა მწიგნობრული მუშაობა, რისი დასტურიც ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებია. სწავლა-განათლება ყოველთვის ფასობდა გურიაში. ამიტომაც ამ პატარა მხარემ ბევრი განათლებული ადამიანი მისცა სამშობლოს: ცნობილი ენათმეცნიერი ნიკო მარი, ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, მწერალი ნოდარ დუმბაძე და სხვა.



წყარო 1. შემოქმედის ტაძარი შუა საუკუნეების ძეგლია. იგი ცნობილი იყო მდიდარი წიგნთსაცავით, სადაც დაცული იყო მრავალი ხელნაწერი წიგნი. მათ შორისაა **გულანი** – საღვთისმსახურო წიგნების საეკლესიო კრებული, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. დღემდე შემორჩენილია აგრეთვე ალავერდის, გელათის, დავითგარეჯისა და სხვა გულანები. ეკლესიაში დაცული იყო ძვირფასი ხატები და საეკლესიო ნივთები. XIX საუკუნეში იგი რამდენჯერმე გაძარცვეს. დღეს გადარჩენილია ამ მდიდარი კოლექციის მხოლოდ ნაწილი. XIX საუკუნეში ტაძარი მოინახულეს ბრიტანელმა სწავლულებმა ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა. მარჯორი უორდროპი ისე მოიხიბლა მონასტრის სილამაზით, რომ ანდერძი დატოვა, მონასტრის გალავანში დამმარხეთო.

წყარო 2. ერკეთის ეკლესიის სახარება, შედგენილი XVIII საუკუნის ბოლოს. ყდა შემკულია თანამედროვე პერიოდში.

წყარო 3. ასკანის ციხე მდებარეობს მდინარე ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე.

წყარო 4. თედო სახოკია
ამ ექვსი წლის წინ საქართველოში ქართული სტამბა მხოლოდ სამგან იყო: თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. ამ დროს, 1890 წელს ოზურგეთში სტამბა გაიხსნა, რომელშიაც ჯერ უბრალო ბლანკები და ქორწილ-ტირილში მოპატიჟების წერილები, შემდეგ კი წიგნებიც იბეჭდებოდა. აქ დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხვისტყაოსანი“. ახლა შევიხედოთ აქაურს საქალაქო წიგნთსაცავში. ოზურგეთმა ამ მხრივ, თბილი-

სის და ქუთაისის შემდგომ, ყველა ჩვენს დაბა-ქალაქებს გაუსწრო, რომელთაც ოზურგეთი ქონებრივად ვერც კი შეედრება. ყველას შეუძლია წიგნთსაცავში შესვლა და უსასყიდლოდ ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების კითხვა. ხოლო ვინც შინ წაიღებს, მცირედ ფასს იხდის. მკითხველები წიგნთსაცავს არ აკლია, მათი რიცხვი დღითიდღე მატულობას. უეჭველია, ეს ნორჩი დაწესებულება დიდ სამსახურს გაუწევს ნოქრებს, რომელთაც აქამდე არ იცოდნენ თავისუფალ დროს რა ეკეთებინათ. წიგნთსაცავს გავლენა ექნება აგრეთვე ფუჭად დროების ტარებისა და ათასგვარი უწესოების შემცირებაზე. წიგნთსაცავს უვლიან აქაური ქალები. საუცხოვო წესიერებაა წიგნების კითხვის დროს წიგნთსაცავში. სწორედ სანუგეშო საყურებელი გახლავთ, როცა კვირაობით სახლიდან გამოსული ხალხი, ათასფრად მორთულ-მოკაზმული, ქალი თუ კაცი, სამკითხველოსაკენ მიეშურება.

იმუშავეთ ჯგუფებში.

- როგორ ფიქრობთ, როგორ ვრცელდებოდა ინფორმაცია ძველად, სტამბის გამოგონებამდე?
- რა მნიშვნელობა აქვს სტამბებსა და სამკითხველოებს ქვეყნის განვითარებისთვის?
- როგორ ფიქრობთ, დღეს უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ იმ პერიოდში? დაასაბუთეთ.
- თქვენი აზრით, რატომ დადიოდნენ მორთულ-მოკაზმულნი სამკითხველოებში?
- უფროსების დახმარებით გაარკვიეთ, ხომ არ არსებობს თქვენს მშობლიურ მხარეში სამკითხველოები და ბიბლიოთეკები? რამდენად ხშირად სტუმრობენ მათ?

წყარო 5. მდ. სუფსის ხობაში მდებარეობს ჯუმათის მონასტერი, რომლის კედლები XVI-XVII საუკუნეებშია მოხატული. მშვენიერი ხედი იშლება ტაძრის ეზოდან. მოჩანს კავკასიონი, კოლხეთის დაბლობი, პალიატომის ტბა და შავი ზთვის სანაპირო.

- შეადარეთ ერთმანეთს წყაროები (1, 5) და დაადგინეთ, რა მსგავსება-განსვევებებია შემოქმედის ტაძარსა და ჯუმათის ეკლესიას შორის?

წყარო 6. ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა სოფ. ლიხაურში. ექვთიმე თაყაიშვილი იყო ისტორიკოსი, არქეოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე. მისი ძალისხმევით საქართველოში დაბრუნდა გატანილი სამუზეუმო საგანძური.

- გააგრძელეთ სასკოლო მუზეუმისათვის ექსპონატების შეგროვება (იხ. მე-5 კლასი, გაკვეთილი 32)

გააგრძელეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

ქართული ხალხური თამაშები

- რა გსმენიათ ლელოს შესახებ?
- სპორტის რომელ სახეს მისდევთ ან მოგწონთ? რატომ?
- განსაზღვრეთ სპორტის მნიშვნელობა.

თითქმის ყოველწლიურად იმართება ოლიმპიადები და სხვადასხვა შეჯიბრება სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. მათ კი მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალყურს. ამიტომ სპორტი დღეს სპორტსმენებისა და სპორტთან დაკავშირებული ადამიანებისთვის სახელის მოპოვებასთან ერთად, შემოსავლის წყაროცაა.

სპორტის თითოეულ სახეობას ხალხური ფესვები აქვს, რომლებიც ადრე მხოლოდ ჩვეულებრივი გასართობი და გამაჯანსაღებელი შეჯიბრი როდი იყო. ომიანობის გამო მუდმივად უნდა ეცადათ აღზრდილიყო ჯანმრთელი და ამტანი თაობა, რომელიც მუშაობის სიმძიმესაც გაუძლებდა და თუ ომში წასვლა მოუწევდა, კარგი მეომარიც იქნებოდა. ამიტომ ხალხი ფიზიკურ აღზრდას დიდ ადგილს უთმობდა და იგონებდა მრავალგვარ მოძრავ თამაშობებს. ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ საბრძოლო ხელოვნებას, ცხენზე ჯდომას, მდინარეთა გადალახვას, კლდეზე ცოცვას და სხვას. ასე ყალიბდებოდნენ მკვირცხლი, მოქნილი, ამტანი ადამიანები, რომელთაც დაბრკოლებების გადალახვა არ უძნელდებოდათ. ასე იყო ჩვენს სამშობლოშიც. გურიაში, ისე როგორც მთელს საქართველოშიც, განსაკუთრებით პოპულარული იყო ნიშანში სროლა, ჭიდაობა, ცხენოსნობა, ბურთაობა, ფარიკაობა. ბავშვებს იარაღის ხმარებას ყმაწვილობიდანვე აჩვევდნენ. ხის ხმლებით, დაშნითა და მოწნული ფარებით ვარჯიშობდნენ მოზარდები.

იმუშავეთ ჯგუფებში. მოახდინეთ პრეზენტაცია.
- ტექსტის მიხედვით გამოარკვიეთ ფიზიკური აღზრდის დანიშნულება წარსულში.
- თქვენი აზრით, როგორია მისი დანიშნულება დღეს?
- ხედავთ რაიმე განსხვავებას წარსულში და დღეს ფიზიკური აღზრდის მიზნებს შორის?
- იმსჯელეთ თქვენი და თქვენი თანატოლების განვითარებაში ფიზიკური აღზრდის და სპორტის მნიშვნელობის შესახებ.

წყარო 1. დოღი ცხენების გამძლეობისა და სიმკვირცხლის გამოცდაა. იგი ყოველი წლის 19 აგვისტოს იმართება ბახმაროში, რომელშიაც გურიის გარდა აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს ცხენოსნები მონაწილეობენ.

წყარო 2. ყაბახი კასტელის ალბომიდან. მაღალ ბოძზე დებენ სამიზნეს, რომელიც ცხენოსანმა მოასპარეზემ ისრის სროლით უნდა ჩამოაგდოს. იგი ძველ საქართველოშიც ცოდნიათ, რომელიც XVII ს. საქართველოში მყოფ ქრისტეფორე კასტელს ჩაუხატავს.

წყარო 3. აპოლონ წულაძე

სათამაშო მინდორი ყველა სოფელს თავისი ჰქონდა. აქ იმართებოდა ბურთის თამაში, ცეკვა, ჭიდაობა, თოფის ნიშანში სროლა და ჯირითი. ზოგიერთ სოფელში სათამაშოზე ვარჯიშობდნენ აგრეთვე მძიმე ქვის სროლით. სოფლის ბავშვებიც აქ იწყებდნენ სხვადასხვა ბავშვურ თამაშს. იცოდნენ ნაბადზე გადახტომა. ეს თამაში აღინიშნებოდა იმისადა მიხედვით თუ ვინ რამდენ ნაბადზე გადახტებოდა, დაიწყებოდა ერთი ნაბდით და თანდათან უმატებდნენ ნაბდებს. ზოგი ხტებოდა სამ ნაბადზე. ბურთს მაღლა შეაგდებდნენ მოედნის შუა ადგილს. მის დასაჭერად ყველანი წაიწევდნენ. ვინც დაიჭერდა, ის შეეცდებოდა მოპირდაპირე წრის გარღვევას. ამაში ხელს უწყობდნენ თავისიანები, რომლებიც გუნდად მიჰყვებოდნენ თან. მოპირდაპირენი ცდილობდნენ ბურთის წართმევას, თუ მობურთალი დაიღლებოდა, შეეცდებოდა ბურთი გადაეცა თავისიანებისთვის და ამ ბრძოლით მიიწევდნენ მოპირდაპირეთა ზურგისაკენ, ე.ი. ლელოსაკენ. თუ მოპირდაპირენი ბურთს წაართმევდნენ, ისინი ცდილობდნენ ამათი ზურგისაკენ, ე.ი. თავიანთ ლელოზე გაეტანათ ბურთი. სანამ ბურთი ლელოზე გავიდოდა, რამდენჯერმე გადავიდოდა მოპირდაპირისაგან მოპირდაპირის ხელში. ჯგუფებს წინდაწინ განსაზღვრავდნენ – ბურთის პირველ გამოჩენამდე. თითოეული ჯგუფის მიერ გატანილი ბურთი დაითვლებოდა.

- როგორ ფიქრობთ, სპორტის რა სახეობას აღწერს ავტორი?
- ხომ არ გინახავთ მგავსი რამ?

წყარო 4-5. გურული ცხენოსნები ამერიკაში. მოჯირითე ქრისტინე ცინცაძე. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გურული ცხენოსნები ესტუმრნენ ამერიკასა და ევროპას. საცხენოსნო ოსტატობით მოხიბლეს მათ იქაური მაყურებელი. ჯირითი, ცეკვა და სიმღერა – ყველაფერი ეს მაყურებელს აღაფრთოვანებდა. გურულების ამ სანახაობით მოხიბლულან ამერიკის პრეზიდენტები. ერთ-ერთ მათგანს სამახსოვროდ ოქროს ბეჭედი და ლანგარიც კი გადაუცია ერთ-ერთი მოჯირითისათვის. მამაკაცების გვერდით იყვნენ გურული ქალბატონებიც, რომლებიც არანაკლები ოსტატობით ასრულებდნენ საცხენოსნო ილეთებს.

- ინტერნეტში მოიძიეთ მასალა გურული მხედრების შესახებ და იმსჯელეთ, თუ რატომ მოხვდნენ ისინი ამერიკაში?

გააგრძელეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

დავალება

■ შეეკითხეთ უფროსებს ძველი ქართულ ხალხური თამაშების შესახებ. შეარჩიეთ ერთი და შეისწავლეთ მისი წესები. მასწავლებლის დახმარებით მოაწყვეთ შესაფერისი შეჯიბრება სკოლის შენობაში ან მის ეზოში. ასახეთ ეს პროცესი ვიდეორგოლში და გაუგზავნეთ საქართველოს სხვა მხარეებში მცხოვრებ თქვენს თანატოლებს.

ტრადიცია და თანამედროვეობა

- ხომ არ გსმენიათ რამე გურული ტრადიციის შესახებ?

ტრადიციები გურიაშიც ისეა დაცული, როგორც დანარჩენ საქართველოში. აქ დღესაც ძველებურად ხვდებიან ახალ წელს, რომელსაც გურულები „კალანდად“ მოიხსენიებენ. შობისას ძველებურადვე აცხობენ ნახევარმთვარის ფორმის გურულ ღვეზელს, რომელშიც ყველთან ერთად კვერცხიცაა ჩართული და სხვა.

გურული ტრადიციები გადაჯაჭვულია საქართველოს სხვა მხარეთა წეს-ჩვეულებებთან. განსაკუთრებით ჰგავს ისინი სამეგრელოსა და იმერეთისას. ამ მსგავსებას მათი საერთო წარსული და ყოფა განაპირობებს.

ქართული სიმღერები მრავალხმიანია, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულია გურული სიმღერები. ძველთაგანვე მღეროდა გურული ლხინში, მწუხარებაში, მინდორზე გასული შრომისას. გურული სიმღერები გუნდურია, ხმები რიტმული, მხიარული და ერთმანეთთან შეხამებული. ჟამთასვლამ მრავალი ძველი გურული სიმღერა გააქრო ადამიანთ მეხსიერებიდან. თუმცა შემოგვრჩა შესანიშნავი კრიმანჭული, ნადური, ხასანბეგურა და სხვა.

წყარო 1. ახალგაზრდა გურული მამაკაცი

წყარო 2. გურული მამაკაცები

წყარო 3. გურული თავადის ქალი

წყარო 4. გურული ქალები დაირათი. დაირა, იგივე დაფდაფი, მთელს საქართველოში ფართოდ გავრცელებული დასარტყმელი საკრავია. ხის ვიწრო რკალზე გადაკრული იყო თხის ტყავი. რკალს შიდა მხრიდან სპილენძის ან ვერცხლის ეჟვნები, პატარა რგოლები და მონეტები ჰქონდა ჩამოკიდებული. თითების ან ხელისგულების მასზე მსუბუქი დარტყმით აჟღერდებოდა ხოლმე საკრავი. ქართულ სამოსში გამოწყობილები დაირაზე უმთავრესად უკრავდნენ ქალები. იმართებოდა ცეკვა-თამაშები, სრულდებოდა სიმღერები. დაირას დღესაც იყენებს ზოგიერთი ანსამბლი.

- გურული მამაკაცისა და ქალის ჩაცმულობა (წყარო 1-3) შეადარეთ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები სხვა ქართველების სამოსს. რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ?
- თქვენი აზრით, გურულებისა და ლაზების ჩაცმულობას შორის უფრო მეტი მსგავსებაა თუ განსხვავება? დაასაბუთეთ.
- რა განსხვავებას ხედავთ ახალგაზრდა და მხცოვანი გურული მამაკაცების ჩაცმულობას შორის (წყარო 1-2)?
- კიდევ რომელი ძველი მუსიკალური საკრავის შესახებ გსმენიათ, რომელსაც იყენებდნენ ძველად საქართველოში?

წყარო 5. თედო სახოკია

გურული ვაჭრები ქართულად არიან ჩაცმულნი, ათასში ერთი თუ ატარებს ევროპულ სამოსს. მაგრამ ისე კი აცვიათ, რომ მაშინვე შეატყობთ მოქალაქეთა რომელ კლასს ეკუთვნიან. აი ჩაცმულობაც დარბაისელი ვაჭრისა: შალის ან მაუდის ჩოხა კოჭებზედა სცემს, ვერცხლის ქამარი არტყია, ვერცხლისავე საათი ჰკიდია გრძელ ძეწკვიანი, შარვლის ტოტები წაღებზე გადმოშვებული აქვს, თავთ ხურავს, თუ ზაფხულია ჭილობის ქუდი და ხელთ უჭირავს ქარვის ან გიშრის კრიალოსანი. გურულ ვაჭარს ჩაცმულობაში ძალიანა ჰგვანან მისი ძმები – მეგრელები და იმერლები.

- შეადარეთ გურული ვაჭრის ჩაცმულობა (წყარო 5) ზემოთ აღწერილს (წყარო 1).
- თუ ეთანხმები მოსაზრებას, რომ გურული ვაჭრების ჩაცმულობა ძალიან ჰგავს მეგრელებისა და იმერლებისას?

წყარო 6. თედო სახოკია

გზაზე წინ გადაგვეღობა გლეხი. ჯერ სალამი მოგვცა მდაბლად, მეტის ზრდილობით და თან დასძინა: რაკი აქედან მობრძანდებით და ჩემს ქოხის პირდაპირ გაიარეთ, თუ შეიძლება, იმდენი პატივი მეცით ჩემს ღარიბ ქოხში შემობრძანდით. გურულის გულწრფელ თხოვნას ვერ ვეწინააღმდეგეთ, მოგვერიდა....სახლის აივანზე ხელად გამოიტანეს თხილი, ვაშლი, სანთლის არაყი და ჩხავერის ღვინო. დაგვალოცვინა თავი და თვითონაც დაგვლოცა თავაზიანად. სანაქებო იყო „ჩხავერის“ ღვინო, ოქროს ფერისა, გემოდ ნაზი და უზადო. ჩვენი მასპინძლის ოჯახი ეკუთვნის ერთ იმ ოჯახთა რიცხვს, სადაც ტრადიცია ძველი, ქართული სტუმართმოყვარეობისა ჯერაც არ გადავარდნილა. დაკლეს ქათამი, მოაქვთ ყველი უზომოდ, უზომოდვე ღვინო და სხვა. სადილს ამშვენებს მშვენიერი გურული სიმღერა. მერე ტკბილი მუსაიფი. ჩაის ვახშამი მოჰყვება, ხოლო ვახშმის შემდეგ, გაქვს თუ არა გაქვს, ყველას საწოლი უშოვნე, გულუხვო მასპინძელო! საიდან, როგორ? არ მიიღებ სირცხვილია, თავი მოგეჭრება.

- იმსჯელეთ გურულების სტუმართმასპინძლობის შესახებ და გამოყავით სტუმრის მიღების ის წესი, რომელმაც ყველაზე მეტად მოგხიბლათ.

წყარო 7. შინამრეწველობის მასალები, 1935

გურიაში ყურძნის კრეფა ხდება ნადის საშუალებით. ხუთი-ექვსი კაცი ერთად გადიოდა ხეებზე. კრეფის დროს ხეებზე სიმღერა-ლექსებში ატარებდნენ და მღეროდნენ „აგუნას“. ნადის კეთება ასეთი იყო: დილას – საუზმე, შემდეგ – სადილი, მზის ჩასვლის წინ დაღამებამდის ორი საათით ადრე, – ზარმელი, საღამოს – ვახშამი. ხშირად ჩვენში ერთი მეზობელი მეორეს მიჰგვრიდა ნადს ათი – თხუთმეტი კაცით. ნათესავი ნათესავს მიგვრიდა ნადს და დაუმუშავებდა ყანას. იყო ჩვენში ჩვეულება მაინდირა, ე.ი. შრომადღის სესხება: ერთ დღეს თუ მეზობელი მეზობელს დაეხმარებოდა მუშაობაში, მეორე დღეს, ან შემდეგ სამაგიეროდ უკვე ის მიეხმარებოდა. ამას ჰქვიოდა მაინდი.

წყარო 8. აპოლონ წულაძე

სიმღერას ნადური რვა კაცი სჭირდებოდა. მღეროდნენ ყანის თოხნის დროს. სიმღერით ნადი ორჯერ მეტად ხალისით და დაუღალავად მუშაობდა, ვიდრე უსიმღეროდ. სიმღერა იწყება ნელი ტემპით, მერე აუჩქარებდნენ იმდენად სწრაფად, რომ თოხს თვალს ძლივს მოჰკრავ. თოხებს სიმღერის ტემპს აყოლებდნენ.

იმუშავეთ ჯგუფებში. შედეგები გაუზიარეთ კლასს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ იწვევდნენ ნადს ძველად და რატომ არ არის დღეს იგი ასე ფართოდ გავრცელებული?
- ადამიანთა ურთიერთობების ეს ტრადიცია პირველად არ შეგხვდათ. იმსჯელეთ მისი მნიშვნელობის შესახებ.

დაასრულეთ ცხრილის **„ვიცი – მინდა ვიცოდე – გავიგე“** შევსება.

შემაჯამებელი გაკვეთილი

სპორტის როლი ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისთვის გურიაში

თქვენ შეისწავლეთ გურიის ბუნება, მეურნეობა, მდებარეობა, კულტურა, ტრადიციები, ხალხური თამაშობები; შესაბამისად, თქვენ უკვე გაქვთ გარკვეული წარმოდგენა ისტორიულად თუ რა როლს ასრულებდა სპორტი ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებისთვის გურულების ყოველდღიურობაში. შემაჯამებელი გაკვეთილი მიზნად ისახავს ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებასა და თანამედროვე გურიაში არსებული მდგომარეობის შესწავლას.

საკლასო აქტივობები შესრულდება რამდენიმე ეტაპად:

I ეტაპი: ინფორმაციის შეგროვება და გაერთიანება.

თქვენ მიერ შესწავლილ მასალებში ნახსნებია გურიისთვის დამახასიათებელი ტრადიციული ხალხური თამაშობები. დაიყავით ჯგუფებად; თითოეულმა ჯგუფმა მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია გურიაში ისტორიულად დამკვიდრებული რომელიმე სპორტის სახეობის შესახებ და წარუდგინოს მთელ კლასს. პრეზენტაციაში მოცემული უნდა იყოს თუ საიდან იღებს სათავეს კონკრეტული თამაშობა და იყო თუ არა ის გავრცელებული საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

II ეტაპი: წარმატებული გურულები.

მოსწავლეებმა, ინდივიდუალურად და ჯგუფებში უნდა მოიძიონ ინფორმაცია გურულების სპორტული წარმატებების შესახებ (აქცენტი კეთდება სპორტის დღემდე შემორჩენილ სახეობებზე) და გააცნონ მთელ კლასს (მაგ. ბორის პაიჭაძე, გურული ცხენოსნები ამერიკაში....). ხაზი უნდა გაესვას, გურულები სპორტის ინდივიდუალურ სახეობებში უფრო გამოირჩევიან თუ გუნდურში.

III ეტაპი: არსებული მდგომარეობა.

მოიძიეთ ინფორმაცია, დღესდღეისობით რა კეთდება გურიაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის. ყურადღება მიაქციეთ ბოლო წლებში ჩატარებულ სპორტულ ტურნირებსა და თამაშობებს. რამდენად არიან გურული ახალგაზრდები ჩართული აღნიშნულ ღონისძიებებში?

IV ეტაპი: საკუთარი აზრის ჩამოყალიბება.

თქვენ უკვე გაეცანით გურულების დამოკიდებულებას ჯანსაღი ცხოვრებისა თუ სპორტის მიმართ. ბოლო ეტაპზე უნდა მოხდეს მიღებული ცოდნიდან გამომდინარე საკითხის შეფასება; რა განაპირობებდა კონკრეტული სპორტის სახეობით გურულების დაინტერესებას? ისტორიულად გურულებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესით დაინტერესება მხოლოდ გასართობ მიზნებს ატარებდა თუ ჰქონდა პრაქტიკული დანიშნულებაც? იმსჯელეთ საკითხზე: სპორტი, როგორც ცხოვრების წესი გურიაში. ყურადღება გაამახვილეთ ისტორიულსა და გეოგრაფიულ მოცემულობაზე.